ფრე რკინიგზელებთან

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 14 ივლისი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

“ლოკომოტივი”: სამოხინი, ალექსანდროვი, ოვჩინიკოვი, კაზმულინი, სოლოვიოვი, კალაიჩევი, დანილენკო, სიომინი, რიახოვსკი (ხუზურნი), ავერიანოვი, გაზაევი (ვასინი).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა (მუჯირი), გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

გაფრთხილებული არიან სიომინი და მ. მაჩაიძე.

დუბლიორები – 0:0.

უშეღავათო ბრძოლა და ერთთავად კარის აღებისკენ ლტოლვა! სხვანაირად ვერ დაახასიათებ ამ მატჩის პირველი ტაიმის პირველ ნახევარს. ამ 20–25 წუთმა, მაყურებლებს მართლაც რომ დიდი სიამოვნება მოუტანა. შეხვედრის ამ პერიოდში არაერთი საინტერესო სიტუაცია შეიქმნა, მეკარეებს სრული დატვირთვით მოუხდათ მუშაობა. წარმატებას თავდაპირველად სტუმრებმა მიაღწიეს: მე–12 წუთზე შორი მანძილიდან ყიფიანის მიერ მოწოდებულ ბურთს მარჯვენა ფლანგზე ოვჩინიკოვთან ორთაბრძოლაში დაეუფლა ჩელებაძე, რომელმაც კიდევ ერთ მცველს აჯობა, გავიდა მეკარის პირისპირ და კარი აიღო.

ამის მერე თბილისელთა საიერიშო განწყობილება თანდათან გაქრა, მასპინძლებმა კი პირიქით, შეტევა გააძლიერეს. მეოცე წუთზე სიომინი თბილისელ მცველთან ორთაბრძოლისას დაეცა და “დინამოს” კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ჯარიმა კარგად გამოიყენა ოვჩინიკოვმა და ანგარიშში წონასწორობა აღდგა. ახლა რკინიგზელებმა მოადუნეს თამაში და მატჩიც საბოლოოდ ფრედ დამთავრდა – 1:1.

ვ. პავლოვი (ჩვენი კორ.).
“ლელო”, 16 ივლისი, 1977 წ.